



ქ. ცაგერი, რუსთაველის ქ. №58, ტელ.: +995 599 18 24 25  
ელ. ფოსტა: info.cageri@gmail.com

## ცაგერის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანება

N 2-122  
13/06/2018

122-07-4-201806131041



„ცაგერის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის სახსრებით საქონლის, მომსახურების და საამშენებლო სამუშაოების ტენდერის საშუალებით სახელმწიფო შესყიდვის მიზნით სატენდერო კომისიის შექმნის შესახებ“ ცაგერის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 12 იანვრის N 2-2 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ პუნქტის „ე-ე“ ქვეპუნქტის, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე მუხლის შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

### მუხლი 1.

„ცაგერის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის სახსრებით საქონლის, მომსახურების და საამშენებლო სამუშაოების ტენდერის საშუალებით სახელმწიფო შესყიდვის მიზნით სატენდერო კომისიის შექმნის შესახებ“ ცაგერის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 12 იანვრის N 2-2 ბრძანებაში შევიდეს შემდეგი სახის ცვლილება და ბრძანების პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ცაგერის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის სახსრებით საქონლის, მომსახურების და საამშენებლო სამუშაოების ტენდერის საშუალებით სახელმწიფო შესყიდვის მიზნით შეიქმნას კომისია შემდეგი შემადგენლობით:

- ავთანდილ უგრეხელიძე - ცაგერის მუნიციპალიტეტის მერი - კომისიის თავმჯდომარე.
- გიორგი მახათაძე - ცაგერის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე - კომისიის წევრი.
- მამუკა ლეთოდიანი - პირველადი სტრუქტურული ერთეულის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ხელმძღვანელი - კომისიის წევრი
- სოფიო გვიშიანი - პირველადი სტრუქტურული ერთეულის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის ხელმძღვანელი - კომისიის წევრი
- დავით ჩიქოვანი - პირველადი სტრუქტურული ერთეულის სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელი - კომისიის წევრი.
- მამუკა ხაბულიანი - ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე - კომისიის წევრი (მოწვევით)
- მარიკა კოპალიანი - ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, კომისიის წევრი (მოწვევით);
- თენგიზ მეშველიანი - პირველადი სტრუქტურული ერთეულის- სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის II სტრუქტურული ერთეულის ინფრასტრუქტურის განვითარების განყოფილების უფროსი კომისიის წევრი;
- იამზე ბურჯალიანის - პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის II სტრუქტურული ერთეულის იურიდიულ საკითხთა და ადამიანური რესურსების განყოფილების უფროსი - კომისიის წევრი“.

**მუხლი 2.**

ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

**მუხლი 3.**

ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონითდადგენილი წესით ცაგერის რაიონულ სასამართლოში /ქ. ცაგერი. ასათიანის ქ. # 14

ავთანდილ უგრეხელიძე

მუნიციპალიტეტის მერი

